საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 13199/01
16/12/2021

13199-01-2-202112160937

ინდ. მეწარმე ირაკლი ტყებუჩავას

მის: საქართველო, ქობულეთი, წერეთლის ქ., N22

ელ.ფოსტა: itkebuchava@inbox.ru

თქვენ მიერ 2021 წლის 2 ნოემბერს (N19593) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზანაში პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დოკუმენტში არ არის განხილული და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი, დასამუშავებელი ნარჩენის წარმოშობის შესახებ ინფორმაცია (წარმოშობის წყარო);
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლები ჩაედინება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში და არ არის წარმოდგენილი აღნიშნული წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საწარმოში ასევე შესაძლებელია ცელოფნის შესაფუთი მასალის (ტომრების) დამზადება", თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დასამზადებელი შესაფუთი ტომრების რაოდენობის და შესაბამისი დანადგარების წარმადობის შესახებ. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დეტალურ განხილვას გზშ-ის ანგარიშში;
- გზშ-ის ანგარიშში განხილულია მხოლოდ ტერიტორიის, სიმძლავრის და შერჩეული ტექნოლოგიური ალტერნატიული ვარიანტების დადებითი მხარეები. გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ობიექტის განთავსების ალტერნატივა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივები. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია - „საწარმოში შემოტანილი ნარჩენები იქნება გასუფთავებული (გარეცხილი) და დაქუცმაცებული ან შესაბამისად შეფუთული; შესაბამისად საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით არ ხდება ნედლეულის რეცხვა და საწარმოო მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება." გზშ-ის ანგარიშში

არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, საწარმოში გაუსუფთავებელი ნარჩენების მოხვედრის შემთხვევაში, მათი შემდგომი მართვის შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია - „საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებისათვის დადგმულია ნაგვის ურნები დასტიკერებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება შესაბამის ურნებში და მათი გატანა განხორციელდება **ქ. თბილისის** შესაბამისი სამსახურის მიერ.“ დაგეგმილი საქმიანობა ხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტში, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია - „მონიტორინგის ჩატარება ასევე ინსტრუმენტალური მეთოდით მოხდება საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან, რომლებიც საწარმოდან მდებარეობს 50 მეტრ მანძილზე და მათი კორდინატებია: X-259847.00; Y- 44696704.00.“ აღნიშნული კოორდინატები არ შეესაბამება უახლოესი საცხოვრებელი სახლის მდებარეობას. ამასთან, მონიტორინგის წერტილად აღებულია მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი, თუმცა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა (სურათი 2.1.1.) საწარმოდან 50 მეტრის დაშორებით სამხრეთით, ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს სამი უახლოესი საცხოვრებელი სახლი;
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს შემდეგი ჩანაწერი - „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების დეტალური პროგრამის დამუშავება მოხდება შეფასების შემდგომ ეტაპზე (გზშ-ის ანგარიშის მომზადება), როდესაც ცნობილი გახდება პროექტის ტექნიკური დეტალები“;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია - „საწარმოში არსებული დანადგარების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტომაგნიტური გამოსხივების ინტენსივობის ფონური (ფაქტიური) დონეები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ დონეებს (10 მკვტ/სმ2),“ თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია რა სახის შესწავლა გაკეთდა დანადგარებთან ელმაგნიტური გამოსხივების ინტენსიობასთან მიმართებაში;
- გზშ-ის ანგარიში ტერმინოლოგიური და ორთოგრაფიული თვალსაზრისით გასამართია (მაგალითად „ტენიანბა“, „ფორიანბა“, „ლანშაპტი“, „დასაწყოვდება“, „საწოფაცხოვრებო“ და სხვა) და საჭიროებს კორექტირებას;

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით გადამუშავებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე